

როგორ მოვემზადოთ მასწავლებლის საგნის გამოცდისა და
საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირებისათვის

ისტორია

თბილისი

2021

შესავალი

კრებულის მიზანია ისტორიაში მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარების მსურველებს გააცნოს ტესტის ფორმატი, საგამოცდო პროგრამა, ტესტურ დავალებათა აღწერილობა, ინსტრუქციები, რეკომენდაციები და საგამოცდო ტესტის ნიმუში.

ვიმედოვნებთ, ეს კრებული დაგეხმარებათ საფუძვლიანად მოემზადოთ 2021 მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტირებისათვის.

საგამოცდო ტესტში არ განმეორდება ამ კრებულში მოცემული არც ერთი დავალება.

გისურვებთ წარმატებას!

საგამოცდო კრებული წარმოადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ საკუთრებას და დაცულია საქართველოს კანონით - „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“. „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ნებართვის გარეშე დაუშვებელია ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი რეპროდუქცია, თარგმნა და სხვა საშუალებებით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ელექტრონული ფორმით) გავრცელება, აგრეთვე იკრძალება საგამოცდო კრებულის გამოყენება კომერციული მიზნებისათვის.

ისტორიაში მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის ფორმატი

2021 წელს ისტორიაში მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ჯამური ქულა 60-ის ნაცვლად 55 გახდება. შესაბამისად, შეიცვლება ტესტირების ხანგრძლივობაც. იგი 5 საათის ნაცვლად 4 საათს გაგრძელდება. ტესტში აღარ იქნება 32-ე დავალება - „სადისკუსიო თემის განსაზღვრა“, რომელიც გაკვეთილზე სადისკუსიო თემის განსაზღვრას ეძღვნებოდა. ეს დავლება 4 ქულიანი იყო. ასევე 31-ე დავალება (ისტორიული წყაროს ანალიზი), რომელიც 19 ქულიანი იყო, 18 ქულიანი გახდება. შესაბამისად, ტესტს დააკლდება 5 ქულა.

მასწავლებლის საგნის გამოცდისა და საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელი ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 საათით.

**2021 წლის მასწავლებლის საგნის/საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების
ტესტირების პროგრამა ისტორიაში**

საკითხთა ჩამონათვალი	საკითხის დაზუსტება
1. პროფესიული უნარ-ჩვევები	
ისტორიული დრო	დროში ორიენტირება; ქრონოლოგიური ერთეულების სისტემის გამოყენება.
ისტორიული ინტერპრეტაცია	ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განსხვავებული ინტერპრეტაციის ანალიზი და შეფასება.
ისტორიული კვლევა	ისტორიული (პირველადი და მეორადი) წყაროების ანალიზი; ისტორიული კვლევის დაგეგმვა და ჩატარება.
კომუნიკაცია	<p>მსჯელობა სხვადასხვა ეპოქაში საქართველოსა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური მოვლენების შესახებ;</p> <p>მსჯელობა თანამედროვე ეპოქასა და წარსულში განსხვავებული კულტურების ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის შესახებ;</p> <p>მსჯელობა საქართველოსა და მსოფლიოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური პროცესების ურთიერთმიმართების შესახებ;</p> <p>მიმოხილვითი თხზულების დაწერა ისტორიულ თემატიკაზე; ისტორიული თემის დაწერა საკუთარი კვლევის საფუძველზე.</p>
2. პროფესიული ცოდნა	
ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები	ისტორიის შესწავლის საგანი და ამოცანები
ისტორიის დამხმარე დისციპლინები ისტორიის პერიოდიზაცია	<p>არქეოლოგია, ეთნოლოგია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ნუმისმატიკა, ისტორიული გეოგრაფია, ჰერალდიკა, გენეალოგია, ეპიგრაფიკა.</p> <p>მსოფლიოსა და საქართველოში ისტორიული აზრის განვითარება (ძველი სამყაროსა და შუა საუკუნეების მემკვიდრეები, ახალი ეპოქის ისტორიკოსები, XIX-XX საუკუნეების ისტორიკოსები).</p>
ისტორიული დროის ერთეულები	წელი, საუკუნე, ათასწლეული, წელთაღრიცხვის სისტემა; კალენდარი და დროის აღრიცხვის სისტემები (იულიუსის და გრიგორიანული კალენდრები, ქორონიკონი, ჰიჯრა).
პრეისტორიული ეპოქა	პალეოლითი; ნეოლითური რევოლუცია;

	<p>ბრინჯაოს ეპოქა; პრეისტორიული ეპოქის ადამიანი საქართველოს ტერიტორიაზე.</p>
ძველი აღმოსავლეთი	<p>ძველი ეგვიპტე; შუამდინარეთი (შუმერ - აქადის სახელმწიფოები, ბაბილონი, ასურეთი); ხეთების სამეფო; ურარტუ; ფინიკია; იუდეა და ისრაელი, იუდაიზმი; აქემენიანთა იმპერია, ზოროასტრიზმი; ძველი ჩინეთი, კონფუციანობა; ძველი ინდოეთი, ინდუიზმი, ბუდიზმი. ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი გაერთიანებები. დიაოხი და კოლხა.</p>
ძველი საბერძნეთი, ელინიზმი და რომი	<p>საბერძნეთის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, კრეტა-მიკენი; არქაული ეპოქა - დიდი ბერძნული კოლონიზაცია; კლასიკური ეპოქა - ათენი; სპარტა; ბერძენ-სპარსელთა ომები; პელოპონესის ომი; ძველი ბერძნული რელიგია და კულტურა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერია და მისი დაცემა; ელინისტური ეპოქა; იტალიის მდებარეობა, ბუნებრივი პირობები; ეტრუსკები; რომის დაარსება - მეფობის ეპოქა; რომის რესპუბლიკა (მმართველობის სისტემა, სოციალ-ეკონომიკური სისტემა, პატრიციები და პლებეები; დაპყრობითი ომები, რესპუბლიკის კრიზისი, სამოქალაქო ომები); რომის იმპერია ახ. წ. I-II საუკუნეებში - პრინციპატი (იმპერატორის ხელისუფლება და მმართველობის სისტემა; სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ქრისტიანობის წარმოშობა და მისი გავრცელება, საგარეო და საშინაო პოლიტიკა. ოქტავიანე, ვესპასიანე, ტრაიანე, ადრიანე, ანტონიუს პიუსი, მარკუს ავრელიუსი); რომის იმპერია ახ. წ. III-V საუკუნეებში - დომინატი (დიოკლეტეიანეს რეფორმები და დომინატის დამყარება; კონსტანტინეს რეფორმები; ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; რომის იმპერიის ორად გაყოფა; რომი და ბარბაროსები; დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა); კულტურა ძველ რომში.</p>
საქართველო ანტიკურ ხანაში	<p>დასავლეთ საქართველო ძვ. წ. VI-III სს.-ში და ბერძნული ახალშენები.</p>

	<p>ქართლის (იბერიის) სამეფო ძვ.წ.აღ-ის IV - ახ.წ.აღ-ის III სს. სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საზოგადოებრივი (სოციალური) ურთიერთობები, საქალაქო ცხოვრება, საგარეო პოლიტიკა (ურთიერთობა ელინისტურ სახელმწიფოებთან, რომთან და პართიასთან);</p> <p>ანტიკური ხანის ქართული კულტურა და რელიგია.</p>
სასანიანთა ირანი	<p>სახელმწიფო მმართველობის სისტემა, საშინაო და საგარეო პოლიტიკა.</p>
ბიზანტიის იმპერია IV- XV საუკუნეებში	<p>სახელმწიფო მმართველობის სისტემა; იუსტინიანე დიდი და „რომის სამართლის კრებული“;</p> <p>ურთიერთობა ბარბაროსულ სახელმწიფოებთან; ირან-ბიზანტიის ომები; ჰერაკლე კეისარი; ბიზანტიის იმპერია და არაბები;</p> <p>მსოფლიო საეკლესიო კრებები IV-V საუკუნეებში. ხატთაყვანისმცემლობა და ხატმებრძოლეობა; განხეთქილება მსოფლიო ქრისტიანულ ეკლესიაში; ბიზანტია და თურქ-სელჩუკები; ბიზანტია და ჯვაროსნები; ბიზანტიის დასუსტება და დაცემა; ბიზანტიური კულტურა.</p>
არაბები	<p>მუჰამედი და ისლამი; სახალიფოს ჩამოყალიბება; არაბთა დაპყრობები; სუნიტები და შიიტები. სახალიფოს კრიზისი; არაბული კულტურა.</p>
თურქ-სელჩუკები	<p>სელჩუკთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება; სელჩუკთა დაპყრობები; სახელმწიფოს დასუსტება და დაშლა.</p>
მონღოლები	<p>მონღოლთა სახელმწიფოს შექმნა - ჩინგიზ ყაენი; მონღოლთა დაპყრობები; მონღოლთა სახელმწიფოები.</p>
დასავლეთ ევროპა V - XV საუკუნეებში	<p>ხალხთა დიდი გადასახლება; ფრანკების სამეფო (მეროვინგები; „სალიკური სამართალი“; კაროლინგების იმპერია: კარლოს დიდი, „კაროლინგული რენესანსი“; ფრანკების იმპერიის დაცემა);</p> <p>ფეოდალიზმი დასავლეთ ევროპაში; რაინდობა; ქალაქი და სოფელი შუა საუკუნეებში;</p> <p>ეკლესია შუა საუკუნეებში - კათოლიკობა და მართლმადიდებლობა;</p> <p>პაპობა; ეკლესია და სახელმწიფო; კათოლიკური ორდენები. ჯვაროსნული ლაშქრობები;</p> <p>განათლება შუა საუკუნეებში - სკოლები და უნივერსიტეტები; შუა საუკუნეების ევროპული ხელოვნება;</p> <p>დასავლეთ ევროპის ქვეყნები X-XV საუკუნეებში: ინგლისი (ნორმანთა მიერ ინგლისის დაპყრობა, ჰენრი II, თავისუფლების დიდი ქარტია, პარლამენტის შექმნა, ასწლიანი ომი, ვარდების ომი); საფრანგეთი (ფილიპე II, ლუი IX, ფილიპე ლამაზი,</p>

	<p>ასწლიანი ომი, ჟაკერია); საღვთო რომის იმპერია (დაპირისპირება იმპერატორებსა და პაპებს შორის); ესპანეთი (რეკონკისტა); იტალიის ქალაქები (ვენეცია და გენუა).</p>
<p>რუსეთი X – XVI საუკუნეებში</p>	<p>კიევის რუსეთის სახელმწიფოს შექმნა; რუსეთის გაქრისტიანება; რუსეთი მონღოლთა ბატონობის პერიოდში; მოსკოვის სამთავროს გაძლიერება.</p>
<p>საქართველო IV-XV საუკუნეებში</p>	<p>ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება; ვახტანგ გორგასალი; „დიდი ომიანობა“; 608 წლის საეკლესიო განხეთქილება; მეფობის გაუქმება ქართლში. ასურელი მამები; ერისმთავრობის ინსტიტუტი; არაბობა საქართველოში (ჰაბიბ იბნ-მასლამას „დაცვის სიგელი“, მურვან ყრუსა და ბულა თურქის ლაშქრობები, არაბთა მმართველობის სისტემა საქართველოში); სამეფო-სამთავროების წარმოშობა; საქართველო X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნეში (დავით კურაპალატი; ბაგრატ III; გიორგი I, ბაგრატ IV, გიორგი II); დავით IV აღმაშენებელი; დემეტრე I; გიორგი III; თამარ მეფის ეპოქა; ქართული კულტურა IV-XIII საუკუნეებში; მონღოლთა ბატონობა საქართველოში (მონღოლური მმართველობის დამყარება საქართველოში; მონღოლური გადასახადები; ორმეფობა; დემეტრე თავდადებული). გიორგი V ბრწყინვალე; თემურ-ლენგის შემოსევები საქართველოში და მისი შედეგები; ალექსანდრე დიდი; გიორგი VIII და ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად.</p>
<p>ოსმალეთის სახელმწიფო</p>	<p>ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება და გაძლიერება; დაპყრობითი ომები ევროპაში; ირან-ოსმალეთის ომები XVI-XVII სს; რუსეთ-ოსმალეთის ომები XVIII-XIX სს.</p>
<p>დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ ამერიკა, რუსეთი XVI-XIX საუკუნეებში</p>	<p>რენესანსი; რეფორმაცია და კონტრეფორმაცია (მარტინ ლუთერი, კალვინიზმი, რეფორმაცია ინგლისში); კოლუმბამდელი ამერიკის ცივილიზაციები: (მაია, აცტეკები და ინკები); დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები (ვასკო და გამა, კოლუმბი, მაგელანი); საფრანგეთი (რელიგიური ომები, ანრი IV, რიშელიე, მაზარინი, ლუი XIV, მერკანტელიზმი);</p>

	<p>ინგლისი (ჰენრი VIII, ელისაბედ I, ჩარლზ I, სამოქალაქო ომი, კრომველი, რევოლუციის შედეგები);</p> <p>საღვთო რომის იმპერია (კარლოს V, ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, ოცდაათწლიანი ომი);</p> <p>ესპანეთი (ფილიპე II);</p> <p>რუსეთი (ივანე მრისხანე; პეტრე I; ეკატერინე II, ალექსანდრე II);</p> <p>ამერიკის კოლონიზაცია ინგლისელების მიერ; ომი დამოუკიდებლობისათვის და ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა; სამოქალაქო ომი აშშ-ში;</p> <p>განმანათლებლობა (ფრანგი განმანათლებლები, ეკონომიკური თეორიები ფიზიოკრატები, ადამ სმიტი);</p> <p>საფრანგეთის დიდი რევოლუცია (აბსოლუტიზმის კრიზისი, მონარქიის დამხობა, იაკობინელთა დიქტატურა, რევოლუციის შედეგები);</p> <p>ნაპოლეონის ეპოქა (ნაპოლეონის აღზევება, ნაპოლეონის საგარეო პოლიტიკა და საომარი კამპანიები; კონტინენტური ბლოკადა, 1812 წლის საომარი კამპანია რუსეთში, ბრძოლა ლაიფციგთან, ასი დღე, ვატერლოოს ბრძოლა);</p> <p>1830 და 1848 წლების რევოლუციები ევროპაში;</p> <p>ინდუსტრიული რევოლუცია;</p> <p>იმპერიალიზმი და კოლონიალიზმი (ინგლისი, რუსეთი, საფრანგეთი, ესპანეთი);</p> <p>ევროპა XIX საუკუნის მეორე ნახევარში (საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, გერმანიის გაერთიანება, იტალიის გაერთიანება, ალექსანდრე II-ის რეფორმები რუსეთში);</p> <p>დასავლური კულტურა XVI-XIX სს.</p>
საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში	<p>ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ; ლუარსაბ I; ბაგრატ III; ამასიის ზავი; სიმონ I; სამცხე-საათაბაგოსა და აჭარის ოსმალეთის მფლობელობაში გადასვლა; თეიმურაზ I; ლუარსაბ II; გიორგი სააკაძე; როსტომ-ხანი; ვახტანგ VI; თეიმურაზ II და ერეკლე II; სოლომონ I; საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს; ქართული კულტურა XV-XVIII სს.</p>
საქართველო XIX საუკუნეში	<p>რუსეთის მიერ ქართული სამეფო-სამთავროების გაუქმება; აჯანყებები ქართლის მთიანეთში, კახეთში, იმერეთსა და გურიაში; 1832 წლის შეთქმულება; რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საქართველოში 30-50-იან წლებში; რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; ბატონყმობის გაუქმება საქართველოში; 60-70-იან წლების რეფორმები; „თერგდალეულები“; პოლიტიკური მიმდინარეობებისა და პარტიების ჩამოყალიბება; ქართული კულტურა XIX საუკუნეში.</p>

<p>მსოფლიო XX-XXI საუკუნეში</p>	<p>მსოფლიო XX საუკუნის დასაწყისში; I მსოფლიო ომი (მიზეზები, საომარი მოქმედებები, შედეგები, საქართველო და I მსოფლიო ომი) პარიზის სამშვიდობო კონფერენცია; რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში; საქართველო 1918-1921 წლებში (საშინაო და საგარეო პოლიტიკა, კულტურა); საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა რუსეთის მიერ და მისი გაერთიანება სსრკ-ში; სსრკ 20-30-იან წლებში; საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში (20-იანი წლების დასაწყისის განმათავისუფლებელი აჯანყებები; კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია; პოლიტიკური რეპრესიები); ევროპა პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის (გერმანია, იტალია); აშშ და დიდი დეპრესია; II მსოფლიო ომი (მიზეზები; საომარი მოქმედებები; შედეგები; საქართველო და II მსოფლიო ომი); მსოფლიო და საქართველო XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში: ცივი ომი; ცივი ომის დროინდელი კონფლიქტები (კორეის ომი; კარიბის კრიზისი; ვიეტნამის ომი; ავღანეთი; ისრაელი და არაბული სამყარო); „პერესტროიკა“ და სსრკ-ის და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სისტემის დაშლა; ეროვნული მოძრაობის გაღვივება საქართველოში და დამოუკიდებლობის აღდგენა; კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში; XX-XXI საუკუნის დასავლური კულტურა; XX –XXI საუკუნის ქართული კულტურა.</p>
---------------------------------	---

ტესტურ დავალებათა აღწერილობა და ინსტრუქციები

დავალება I ტიპი

○ დახურული დავალება

დავალების აღწერა და ინსტრუქცია: დავალებაში დასმულია კითხვა, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა.

მოწმდება: ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენის უნარი; ისტორიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის უნარი.

შეფასება: თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში

დავალების II ტიპი

○ ქრონოლოგიის განსაზღვრა

დავალების აღწერა და ინსტრუქცია: დავალებაში მოცემული ჩამონათვალი (ისტორიული პიროვნებების ან მოვლენების, ფაქტების) უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური პრინციპით, უძველესიდან უახლესისაკენ. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი.

მოწმდება: ფაქტობრივი მასალის ცოდნა და მისი გამოყენების უნარი; ისტორიულ დროში ორიენტაციის უნარი.

შეფასება: თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში

დავალების III ტიპი

- ისტორიული რუკის ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია: დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. საკუთარ ცოდნასა და რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მოსწავლეს პასუხები უნდა გაეცა დასმულ შეკითხვებზე. მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი შეიცავს შეცდომას. პედაგოგის ამოცანაა ამ შეცდომების პოვნა და სწორი პასუხების დაფიქსირება.

მოწმდება: ისტორიული წყაროში - რუკაზე მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში

დავალების IV ტიპი

- ვიზუალური წყაროს ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია: ილუსტრაცია ასახავს ერთ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას/პროცესს. აპლიკანტმა დასმულ კითხვებს უნდა უპასუხოს.

მოწმდება: ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენების, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი.

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 7.

ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში

დავალების V ტიპი

- წერილობითი ისტორიული წყაროს ანალიზი

დავალების აღწერა და ინსტრუქცია: დავალებაში მოცემულია უცნობი წერილობითი ისტორიული წყარო, რომელსაც თან ახლავს შეკითხვები.

მოწმდება: წერილობით ისტორიული წყაროში მოცემული ინფორმაციის წაკითხვის, მისი გამოყენებისა, ინტერპრეტაციისა და ისტორიულ კონტექსტში ჩასმის უნარი. საკუთარი აზრის შემუშავებისა და არგუმენტირებულად დასაბუთების, ლოგიკური, კრიტიკული აზროვნების უნარი; მოვლენათა შეფასების უნარი.

შეფასება: დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

ნიმუში იხილეთ თანდართული ტესტში

ტესტი ისტორიაში

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 55.

ტესტის შესრულებისათვის გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-24. თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელი სამეფო დაიპყრეს ჰიქსოსებმა?

- ა. ასურეთის
- ბ. ბაბილონის
- გ. ეგვიპტის
- დ. ხეთების

2. რომელი ცივილიზაციის ძეგლია წარმოდგენილი ფოტოზე?



- ა. აქემენიდური
- ბ. ეგვიპტური
- გ. ეტრუსკული
- დ. მინოსური

3. რომელ ზღვას უწოდებდნენ ბერძნები „პონტოს ევქსინოსს“?

ა. ეგეოსის ზღვას

ბ. იონიის ზღვას

გ. ხმელთაშუა ზღვას

დ. შავ ზღვას

4. რას უკავშირდებოდა წელთაღრიცხვის ათვლა ძველ საბერძნეთში?

- ა. ოლიმპიურ თამაშებს
- ბ. ტროას აღებას
- გ. ათენის დაარსებას
- დ. დელფოსში სამისნოს აგებას

5. ვისა და ვის შორის დაპირისპირებით იწყება სამოქალაქო ომების ეპოქა რომში?

- ა. სულასა და პომპეუსს
- ბ. კეისარსა და სერტორიუსს
- გ. მარიუსსა და სულას
- დ. ბრუტუსსა და კეისარს

6. რა იყო იმპერატორ ტრაიანეს მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი?

- ა. დაკების დამარცხება
- ბ. პონტოს სამეფოს განადგურება
- გ. ტევტობურგის ბრძოლაში გამარჯვება
- დ. უკანასკნელი ელინისტური სახელმწიფოს დაპყრობა

7. რა შეიძლება მივიჩნიოთ ქართლის სამეფოს გაძლიერების მაჩვენებლად ფარსმან ქველის დროს?

- ა. მომთაბარე სკვითების შემოსევების მოგერიება
- ბ. კლარჯეთის შემოერთება და არტანუჯის დაარსება
- გ. ჭოროხის შესართავთან ზღვის სანაპირო ზოლის დაუფლება
- დ. ფაზისის ნაპირებზე არსებული ახალშენების დაქვემდებარება

8. რამ განაპირობა საქალაქო ცხოვრების მოშლა დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეების დამდეგს?

- ა. კოლონატის ეკონომიკური სისტემის დაცემამ
- ბ. აბრეშუმის გზის გადანაცვლებამ აღმოსავლეთით
- გ. ბიზანტიის იმპერიის დასუსტებამ და მომთაბარეთა შემოსევებმა
- დ. რომის იმპერიის დაცემამ და ხალხთა დიდმა გადასახლებამ

9. რომელი ლიტერატურული ძეგლი ადასტურებს ქართლში მეფობის გაუქმებას VI საუკუნის შუა ხანებში?

- ა. კონსტანტი-კახის წამება
- ბ. სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება
- გ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა
- დ. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა

10. შიიტები სუნიტებისაგან განსხვავდებიან იმიტაც, რომ ისინი:

- ა. ჰიჯრის ათვლას იწყებენ მუჰამედის გარდაცვალებიდან
- ბ. პირველ ოთხ ხალიფას შორის ცნობენ მხოლოდ ალის
- გ. არ აღიარებენ ყურანის რამდენიმე სურას
- დ. ჰაჯის შესრულებას არ უკავშირებენ მექას

11. პირველად ვისთან მოუწიათ შებრძოლება სელჩუკებს დაპყრობითი ლაშქრობების დაწყებისას?

ა. ბაღდადის სახალიფოსთან

ბ. ბიზანტიის იმპერიასთან

გ. სასანიანთა სამეფოსთან

დ. ლაზნევიანთა სახელმწიფოსთან

12. რა გადასცა გრიგოლ ბაკურიანისძემ ბიზანტიის იმპერიის სახელით მეფე გიორგი II-ს?

ა. ანაკოფიის ციხე

ბ. კურაპალატის წოდება

გ. ციხე-ქალაქი კარი

დ. მაგისტროსის ტიტული

13. რომელი ცნობილი ქართველი მოაზროვნე მოღვაწეობდა გელათის აკადემიაში XII საუკუნეში?

ა. ეფრემ მცირე

ბ. იოანე პეტრიწი

გ. ექვთიმე მთაწმინდელი

დ. პროხორე ქართველი

14. ვინ არიან გამოსახული ბეთანიის ტაძრის ფრესკაზე თამარ მეფესთან ერთად?




- ა. დემეტრე I და გიორგი III
- ბ. გიორგი III და გიორგი IV
- გ. გიორგი III და დავით სოსლანი
- დ. გიორგი IV და დავით სოსლანი

15. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ განაპირობა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება?

- ა. ჰანზის კავშირის ულტიმატუმმა
- ბ. გენუასთან დადებულმა ხელშეკრულებამ
- გ. ლათინთა იმპერიის თხოვნამ
- დ. ვენეციის სავაჭრო ინტერესებმა

16. რომელი სახელმწიფოს ძლიერების ხანაა ასახული რუკაზე?



- ა. რაინის კავშირის
- ბ. ფრანკთა სამეფოს
- გ. საღვთო რომის იმპერიის
- დ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის

17. „ჩვენ მეფეთ მეფემან გიორგიმ, დავდევით ძეგლი ესე განაჩენი, მას ჟამსა ოდეს შევედით მთიულთა შიგან ... და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებულობა ქმნილ იყო ერთმანეთსა ზედა და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ჩუენდა ერთმანეთის ღალატად დასმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოველნივე სამართალი აღარ იყო“.

რა იყო ქართული სამართლის ერთ-ერთი ძეგლის ზემოთ მოტანილ ამონარიდში აღწერილი ვითარების მთავარი მიზეზი?

- ა. ფეოდალთა აჯანყების შედეგად სამეფო ხელისუფლების დასუსტება
- ბ. მონღოლთა ხანგრძლივი ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში
- გ. ირანელთა მიერ მეფობის გაუქმების შედეგად შექმნილი ანარქია
- დ. დაღესტნელ ფეოდალთა ხშირი თავდასხმები ანუ ლეკიანობა

18. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ შეუწყო ხელი მონღოლთა ბატონობის დროს მოსკოვის სამთავროს გაძლიერებას?

- ა. ალექსანდრე ნეველის მოღვაწეობამ
- ბ. ოპრიჩნინის შემოღებამ
- გ. ვლადიმერ მონომახის რეფორმებმა
- დ. მიტროპოლიტის რეზიდენციის გადმოტანამ

19. რა უწყობდა ხელს საფრანგეთისა და ოსმალეთის პოლიტიკურ კავშირს XVI საუკუნეში?

- ა. ჰაბსბურგების სიძლიერე და სამფლობელოების სიმრავლე
- ბ. მედიჩების გააქტიურება ცენტრალურ ევროპაში
- გ. სავოიის დინასტიის მიერ იტალიის გაერთიანება
- დ. ჰოჰენცოლერნთა ხელმძღვანელობით გერმანიის გაძლიერება

20. რა იყო ლუი XVI-ის დროს საფრანგეთში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისის მიზეზთაგანი?

- ა. გადასახადების გადახდა მხოლოდ მესამე წოდების მიერ
- ბ. ოცდაათწლიან ომთან დაკავშირებული ძალიან დიდი ხარჯები
- გ. რეფორმაციით გამოწვეული შიდა დაპირისპირება სხვადასხვა ფენებს შორის
- დ. ჟაკერიის შედეგად სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხება

21. რომელი მსჯელობაა მართებული საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?

ა. თერმიდორელთა სიკვდილით დასჯის შემდეგ იაკობინელებმა ადვილად დაამარცხეს მარტო დარჩენილი ჟირონდისტები

ბ. მეფისა და დედოფლის სიკვდილით დასჯის შემდეგ იაკობინელებმა და ჟირონდისტებმა თერმიდორელებიც გაანადგურეს

გ. იაკობინელთა სიკვდილით დასჯის შემდეგ ჟირონდისტებმა სხვა მოწინააღმდეგეებაც დაამარცხეს და ხელისუფლების სათავეში მოექცნენ

დ. მეფის სიკვდილით დასჯიდან რამდენიმე თვეში ჟირონდისტებმა დაკარგეს ძალაუფლება და ხელისუფლებაში იაკობინელები მოვიდნენ

22. ვინ მონაწილეობდნენ 1848-1849 წლებში იტალიაში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებში?

ა. კავური და ვიტორიო-ემანუელი

ბ. ვიტორიო-ემანუელი და მაძინი

გ. მაძინი და გარიბალდი

დ. გარიბალდი და კავური

23. რატომ ითვლებოდა XX საუკუნის 10-იან წლებში ბალკანეთი ერთ-ერთ ყველაზე „ფეთქებადსაშიშ“ რეგიონად?

ა. ბალკანეთში არსებულ მცირე სახელმწიფოთა ურთიერთპრეტენზიებს ემატებოდა ოსმალეთის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ინტერესებიც ამ რეგიონისადმი

ბ. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილ სახელმწიფოებს სასაზღვრო შეტაკებები ჰქონდათ ერთმანეთთან, ხოლო მათ უკან კი რუსეთი და ოსმალეთი იდგა

გ. გერმანიის გაერთიანებამ შეცვალა ძალთა ბალანსი და მისმა მოკავშირე ხორვატიამ და სლოვენიამ ომი დაუწყო მეზობელ ბულგარეთს, რომელსაც რუსეთი მფარველობდა

დ. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ამ რეგიონისადმი ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ინტერესებს ემატებოდა იუგოსლავიის აგრესიული პოლიტიკა მეზობლებისადმი

24. რომელი მსჯელობაა მართებული აღმოსავლეთ ევროპაში 1988-1989 წლებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით?

ა. სსრკ-ის დაშლამ ავტომატურად გამოიწვია მისი სატელიტი კომუნისტური რეჟიმების დამხობა სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებშიც

ბ. სსრკ-ში დაწყებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ე.წ. ხავერდოვან რევოლუციებს ევროპის სოციალისტური ქვეყნების უმეტესობაში

გ. სსრკ-ის დასუსტებამ ხელი შეუწყო რუმინეთში, პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიაში შეიარაღებული აჯანყების შედეგად კომუნისტური რეჟიმების დამხობას

დ. სსრკ-ში განხორციელებულმა ე.წ. პერესტროიკამ სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნებს საშუალება მისცა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 25-28.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

25. დააღაგეთ ქრონოლოგიურად ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში მომხდარი მოვლენები:

1. ქალაქ ნინევიის აღება მიდიელთა მიერ
2. კიროს II-ის მიერ ქალაქ ეკბატანას აღება
3. ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ ქალაქ იერუსალიმის აღება

26. დააღაგეთ ქრონოლოგიურად V საუკუნეში დასავლეთ ევროპაში მომხდარი მოვლენები:

1. ფრანკების გაქრისტიანება
2. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა
3. ბრძოლა კატალაუნის ველზე

27. დააღაგეთ ქრონოლოგიურად XVI-XVII საუკუნეებში საფრანგეთში მომხდარი მოვლენები:

1. „ბართლომეს ღამე“
2. ანრი IV-ის მიერ ნანტის ედიქტის გამოცემა
3. რიშელიეს ხელმძღვანელობით ლა-როშელის ციხე-სიმაგრის აღება

28. დალაგეთ ქრონოლოგიურად XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში მომხდარი მოვლენები:

1. საერთო ქართული ანტისაბჭოთა აჯანყება
2. „სამხედრო ცენტრის“ განადგურება
3. დამკომის ჩამოყალიბება

ინსტრუქცია დავალებისთვის № 29.


მოსწავლეს მიეცა რუკა. მას საკუთარი ცოდნისა და რუკაზე არსებული ინფორმაციის გამოყენებით, უნდა ეპასუხა დასმული კითხვებისთვის.

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხებიდან ორი (2) შეიცავს შეცდომას.

თქვენ უნდა იპოვოთ ეს შეცდომები, გადმოწეროთ ისინი პასუხების ფურცლის სათანადო ადგილზე და იქვე მიუწეროთ სწორი პასუხები. დავალების მაქსიმალური ქულაა - 2.

დავალება 29. რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

მოსწავლისთვის დასმული კითხვები:

29.1. ვინ იყო რუკაზე მუქი ყავისფერი ფერით აღნიშნული სახელმწიფოს მმართველი?

29.2. რომელი იყო თოხთამიშის სახელმწიფოს დედაქალაქი?

29.3. საქართველოს რომელი ქალაქი გადაურჩა მტრის შემოსევას?

29.4. შუამდინარეთში მდებარე რომელი ქალაქი დაილაშქრა ორჯერ?

29.5. რომელ სახელმწიფოსთან მოუწია ბრძოლა მცირე აზიაში ლაშქრობისას, რუკაზე ასახული სახელმწიფოს მმართველს?

მოსწავლის მიერ გაცემული პასუხები:

29.1. ჰულაგუ ყაენი

29.2. სარაი-ბერქე

29.3. ცხუმი


29.4. ბაღდადი

29.5. რუმის სასულთნოსთან


ინსტრუქცია დავალებისთვის № 30.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 7.


დავალება 30. ილუსტრაციები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე




დავალება 30.



N1



N2



N3

წარწერები პლაკატებზე (რუსულად): **N1** „ურალი ფრონტს“; **N2** „22 ივნისი 1941“; „ნკვდ (НКВД)“;
N3 „სტალინგრადი“

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(2) **30.1.** რომელი ისტორიული პროცესის ამსახველია სამივე პლაკატი და დაასახელეთ სახელმწიფოები, რომლებშიც შეიქმნა ეს პლაკატები?

(2) **30.2.** მოცემული პლაკატებიდან ორი ემსახურება ერთ-ერთი სახელმწიფოს პროპაგანდისტულ მიზნებს. მიუთითეთ ამ პლაკატების ნომრები და დაასახელეთ ეს სახელმწიფო. თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ პლაკატებზე არსებული ინფორმაციით.

(2) **30.3.** რომელი სახელმწიფოს პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება დარჩენილი ერთი პლაკატი? თქვენი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ პლაკატზე არსებული ინფორმაციით.

(1) **30.4.** თქვენს მიერ დასახელებული ორი სახელმწიფოდან, რომელმა გაიმარჯვა პლაკატებზე ასახულ ისტორიულ პროცესში?

ინსტრუქცია დავალებისთვის №31. ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 18.

დავალება 31. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

ხოლო ესე გიორგი ეუფლა ყოველსა მამულსა და სამეფოსა თვისსა ჟამსა ოდენ სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისასა, რამეთუ იყო, რაჟამს მეფე იქმნა, წლისა თორმეტისა.

მას ჟამსა განუდგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა და ლადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყანით კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი.

ხოლო მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისასა გამოვიდა ბასილი, მეფე ბერძენთა, მას ზედა ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა და უცხო-თესლითა ურიცხვითა. ხოლო გიორგი მეფე განვიდა სპითა დიდითა წინააღდგომად მისსა. დაიბანაკეს ორთავე ქუეყანასა ბასიანისასა მრავალდღე, და არა მიმართეს

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

ბრძოლად ურთიერთას. მორიდა გიორგი მეფემან, მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი. მუნით მოვიდა კოლას. გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა ბასილი, მეფე ბერძენთა. შეკრბეს უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნი. იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა, რომელსა რქვიან შირიმნი. მოისრნეს ორკერძოვე მრავლად. გვიანად ეწია ხმა გიორგი მეფესა, ვითარმედ ომი არს უკანამავალთა ზედა. მაშინ უბრძანა სპათა თვისთა და აღიჭურნეს მსწრაფლ. განვიდა თვით გიორგი მეფე, რამეთუ ახოვან იყო და უშიში ყოვლითურთ ვითარცა უხორცო და მის თანა სიმრავლე სპისა მისისა. მოვიდა მუნით ბასილი მეფე ყოვლითა სპითა მისითა. შეკრბეს და იქმნა ბრძოლა დიდი. მოისრნეს ბერძენნი ფრიად. ეზომ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, რომელ სივლტოლად განემზადა

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ბასილი მეფე. ხოლო ვითარ სულმოკლე იქმნეს ქართველნი, მორიდეს და წარმოვიდეს. წარმოუდგეს უკანა ბერძენნი და დახოცნეს ურიცხვნი პირითა მახვილისათა. მოუწია ლაშქარმან არტანს, ტყუე ყვეს და მოაოხრეს არტანი. წარვიდა გიორგი მეფე და გარდავიდა თრიალეთს. კუალადცა დაეახლნეს ურთიერთას, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ჰერეთისა, გარნა დაუშალეს შებმა მეორედ. შეიქცა ბასილი მეფე თრიალეთით, უკუმოიარა ჯავახეთი და არტანი. კუალად უბოროტესადრე შურისგებით მოაოხრნა ქუეყანანი იგი. წარვიდა და დაიზამთრა მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა. ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათვის.

კუალად შემოიქცა ბასილი, ითხოვდა ქუეყანასა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

და ციხეთა და აღუთქმიდა ზავსა და მშვიდობასა. ცნა რა გიორგი მეფემან, წარავლინა ზვიადი ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რათამცა ზავის მიპყრობითა მცირედხან დაიმჭირვა ადგილსა და თვით წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა. და განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ. უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთვისცა“. ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშვიდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა და იწყეს ბრძოლად. ვითარ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, კუალადცა მეოტ იქმნნეს სპანი ქართველთანი და წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხვნი პირითა მახვილისათა და რომელნიმე ტყუე იქმნნეს. წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სამეფო, რომელი ჰქონდა თანა.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

კულადცა იწყეს ზავად, ვითარცა პირველ, რამეთუ შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით განდგომისა. ყვეს მშვიდობა და დაიზავნეს. მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თვისი ბაგრატ წელიწდისა სამისა, ციხენი დაუცალნა და მისცნა ქუეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა. წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად. აღუთქუა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო ძე შენი“. იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს და წელსა მესამესა გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა.

რაჟამს მოიწია მამულსა და სამეფოსა თვისსა, მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა მისისა. ვითარ შეიქცა გარე, მოეწია სწრაფით მანდატური და მოართუა კატაბანსა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

წიგნი კოსტანტინე მეფისა, რომელსა წერილ იყო: „განგებითა ღმრთისათა მიიცვალა სანატრელი ძმა ჩემი, ბასილი მეფე და ნაცვლად მისსა ვიქმენ მე მეფედ ყოველსა საბერძნეთსა. აწ უკუე, სადაცა მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩემსა ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა ხელმწიფისა, შეაქციეთ სწრაფითა დიდითა, რომელ მოიწიოს წინაშე ჩუენსა“.

ხოლო მან, ვითარცა წარიკითხა, ბრძანებისაებრ შეიქცა სწრაფად, დევნა უყო უკანა. რაჟამს მიეახლა, იხილა, რომელ სიმრავლე დიდძალი მიგებებულ იყო წინა: დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი, რომელთა არა იყო რიცხვი სიმრავლისა მათისა. შეიქცა გარე და უთხრა მანდატურსა, რომელი მიწეულ იყო: „უკეთუ ძალ გიც შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე აღარა ეგების“.

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ვითარ უკუე მოიწია ბაგრატ წინაშე მამისა თვისისა გიორგი მეფისა, სახლად მათდა ქუთათისს, იხილეს რა, განიხარეს სიხარულითა მიუთხრობელითა და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ. იყო ქრონიკონი მას ჟამსა ორას ორმოცდახუთი.

ამისა შემდგომად წარვიდა პატრიარქი მელქისედეკ კოსტანტინე მეფისა წინაშე კოსტანტინეპოლედ. შეიწყნარა მეფემან ბერძენთამან კოსტანტინემ და მოსცა მოსამკობელნი ეკლესიათა, ხატნი და ჯუარნი. მოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსა თვისსა და იყიდა სოფლები ტაოს, კლარჯეთს, ჯავახეთს და კოლას და დაუდვა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა.

შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე, სავსე ყოვლითა სიკეთითა, ჟამსა ოდენ

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#)

სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა შორის მისთა: ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა, და სავსე ყოვლითა განგებითა სახელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდაშვიდსა, თუესა აგვისტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მყინვარნი, გინა იწრონი. დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკვიდრთა მამულისა და სამეფოსა მისისათა. იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა და სიჭაბუკისა და ახოვნებისა მისისათვის. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა. ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე, ასულნი გუარანდუხტ და კატა. შემდგომად მიცვალებისა დიდისა მეფისა გიორგისსა, მასვე ჟამსა მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა მისსა წელიწდისა ცხრისასა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

(1) **31.1.** წყაროს მიხედვით, ვინ ახორცილებდნენ ადგილობრივ მმართველობას კახეთ-ჰერეთში მას შემდეგ, რაც ეს მხარეები ბაგრატ III-ის გამგებლობაში მოექცა?

(1) **31.2.** თქვენ რომ მეფე გიორგის დიდებული ყოფილიყავით, ურჩევდით თუ არა მას შირიმნის ბრძოლის შემდეგ დამხმარე ძალის მიღების გამო ბრძოლის გაგრძელებას? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ.

(1) **31.3.** საქართველოს რომელი კუთხის მკვიდრნი იგულისხმებიან მემატთანეს სიტყვებში - „აზნაურნი ქართველნი“?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)

(1) **31.4.** წყაროს მიხედვით, რომელ წელს დაბრუნდა ბაგრატ უფლისწული სამშობლოში? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციის საფუძველზე.

(2) **31.5.** წყაროს მიხედვით, ვინ იყო ზავის დადების ინიციატორი და რატომ ჩქარობდა ის ზავის დადებას?

(1) **31.6.** რომელ „ქუეყანას“ (დაასახელეთ კონკრეტული ისტორიული კუთხე) ითხოვდა ბასილი მეფე და რის საფუძველზე?

(2) **31.7.** წყაროს მიხედვით, რა პირობების შესრულება მოუწია გიორგი მეფეს ბრძოლებში დამარცხების შემდეგ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)

(2) **31.8.** მოიტანეთ ორი ციტატა წყაროდან, რომელიც დაადასტურებს, რომ გიორგი მეფის სამეფოში იყვნენ ბასილისთან ბრძოლის მომხრეებიცა და მოწინააღმდეგეებიც?

(2) **31.9.** წყაროს მიხედვით, რა კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა „კატაბანი აღმოსავლეთისათვის“ ახალი ბრძანების გამოგზავნა და რატომ ვერ შეძლო მან მისი შესრულება?

(2) **31.10.** რა კონკრეტული შედეგით დასრულდა პატრიარქის ვიზიტი კონსტანტინოპოლში და თქვენი აზრით, რა პოლიტიკურმა თუ კულტურულმა ასპექტებმა განაპირობა ვიზიტის ასეთი დასასრული?

(3) **31.11.** წყაროში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოყავით შირმინთან გამართული ბრძოლის სამი ეტაპი (პასუხების ფურცელში აუცილებლად დანომრეთ ბრძოლის ეტაპები).

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-4 გვერდზე](#)

შეფასების სქემა

სულ 55 ქულა

1-28 - თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება

- | | |
|-------|-------|
| 1. გ | 13. ბ |
| 2. დ | 14. ბ |
| 3. დ | 15. დ |
| 4. ა | 16. გ |
| 5. გ | 17. ბ |
| 6. ა | 18. დ |
| 7. გ | 19. ა |
| 8. დ | 20. ა |
| 9. გ | 21. დ |
| 10. ბ | 22. გ |
| 11. დ | 23. ა |
| 12. გ | 24. ბ |

25. 1 3 2

26. 3 2 1

27. 1 2 3

28. 3 2 1

29. სულ 2 ქულა

№1. შეცდომა - ჰულაგუ ყაენი; სწორი პასუხი - თემურ ლენგი - 1 ქულა

№2. შეცდომა - რუმის სასულთნო; სწორი პასუხი - ოსმალეთთან - 1 ქულა

30. სულ 7 ქულა

30.1. მეორე მსოფლიო ომის - 1 ქულა; საბჭოთა კავშირი და გერმანია - 1 ქულა; სულ 2 ქულა

30.2. N1; N3 და საბჭოთა კავშირი – 1 ქულა. ლოგიკური დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; სულ 2 ქულა

თუ პირველ ნაწილზე გაცემულია არასწორი პასუხი, მეორე ნაწილი აღარ ფასდება.

30.3. N2, ემსახურება გერმანიის პროპაგანდისტულ მიზნებს - 1 ქულა; ლოგიკური დასაბუთება, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; სულ 2 ქულა

თუ პირველ ნაწილზე გაცემულია არასწორი პასუხი, მეორე ნაწილი აღარ ფასდება.

30.4. საბჭოთა კავშირმა - 1 ქულა

31. სულ 18 ქულა

31.1. ერისთავები - 1 ქულა

31.2. ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა

31.3. ქართლის - 1 ქულა

31.4. 1025 წელს დაბრუნდა, წყაროში წერია - ქორონიკონ 245 ($780+245=1025$) – 1 ქულა

31.5. ბასილი - 1 ქულა; ეშინოდა „განდგომისა“ თავის სახელმწიფოში - 1 ქულა; სულ 2 ქულა

31.6. ტაოს; დავით კურაპალატის ანდერძის თანახმად - 1 ქულა

31.7. მისცა მძევალი - 1 ქულა; დაუცალა ციხეები და მისცა ქვეყანა - 1 ქულა; სულ 2 ქულა

31.8. „დაუშალეს შებმა მეორედ“ - 1 ქულა; „რომელთა არა უნდოდა ყოფად მშვიდობის, იწყეს განზრახებად ბრძოლად“ - 1 ქულა; სულ 2 ქულა

31.9. ახალი ამპერატორის ასვლამ - 1 ქულა; არ ქონდა ძალა - 1 ქულა; სულ 2 ქულა

31.10. ჯვრები და ხატები მისცა - 1 ქულა; ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას - 1 ქულა; სულ 2 ქულა

31.11. სწორად გამოყოფილი თითოეული ეტაპი ფასდება 1 ქულით; სულ 3 ქულა